დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი - 25.07.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ბადრიშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ფსიქოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Psychology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მეცნიერების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში BSc in Psychology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0313, ფსიქოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 2021 წლის 9 ნოემბრის №1205243 გადაწყვეტილება
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

ფსიქოლოგიის ფაკულტეტი გასული საუკუნის 20-ანი წლებიდან ფუნქციონირებს. ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 2005 წლიდან. 2011 წელს აღნიშნულმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N 280; 11/11.2011).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაა 240 კრედიტიანია. აქვთ როგორც სავალდებულო ასევე, არჩევითი კურსები. გარდა ამისა, სტუდენტს ეძლევათ შესაძლებლობა, დაეუფლონ დამატებით სპეციალობას.

2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ ფაკულტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაციები და შეიტანა მთელი რიგი ცვილილებები. კერძოდ, განაახლა ლიტერატურა, გადახედილ იქნა სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები, დამატებულ იქნა მთელი რიგი საგნები - როგორც არჩევითი, ასევე სავალდებულო. გათვალისწინებულ იქნა დამსაქმებელთა და უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციები და არჩევით საგნებში შეტანილ იქნა პრაქტიკული კურსები.

2021 წელს საბაკალავრო პროგრამამ გაიარა რეაკრედიტაცია (2021 წლის 9 ნოემბრის №1205243 სხდომის ოქმის №02 ნაწილი). პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარდგენის პირობით. გაცემულ იქნა რეკომენდაციები დარგობრივი კურსების დაძლევის მიზნით, პროფესიული ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით; შეფასების კომპონენტების კურსის სპეციფიკასთან შესაბამოსობასთან და შრომის ბაზრის გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით.

2023 წლის 24 იანვრის სხდომა N138938-ზე განიხილეს საკითხი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. დაწესებულებამ ერთი წლის განმავლობაში სრულად შეასრულა რეკომენდაციები, გარდა ინგლისური ენის სწავლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციისა (კომპონენტი 1.4). შესაბამისად, გაცემულ იქნა ერთი რეკომენდაცია: „პროგრამაში გაძლიერდეს პროფესიული ინგლისური ენის საკითხების სწავლება ინგლისურენოვანი დარგობრივი კურსების დაძლევის მიზნით"; და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, 60 დღის ვადაში წარედგინა ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს წინაშე (2023 წლის 24 იანვრის სხდომა N138938)

დაწესებულებამ 15.03.2023 წელს წარადგინა თვითშეფასების ანგარიში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. სრულ შესაბამისობაშია პირველ სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულებას არ წარმოუდგენია არგუმენტირებული პოზიცია

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1.საგანმანათლებო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტმა წარადგინა ანგარიში აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის თაობაზე.

რეკომენდაცია: „„პროგრამაში გაძლიერდეს პროფესიული ინგლისური ენის საკითხების სწავლება ინგლისურენოვანი დარგობრივი კურსების დაძლევის მიზნით", არ არის გათვალისწინებული დამატებით, პროფესიული ინგლისურის სასწავლო კურსის პროგრამაში შეტანასთან დაკავშირებით, თუმცა, გათვალისწინებულია პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა და პროგრამით დაინტერესებულმა სხვა პირებმა რამდენჯერმე განიხილეს საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია და დაწესებულების საკუთარი პოზიციის დაცვისთვის მოამზადეს დოკუმენტი: „„ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პროფესიული ინგლისური ენის სწავლების ჩაშენებული კომპონენტი" (იხ. დანართი 3). დაწესებულება მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის B1 და B2 დონეზე სწავლება, რომლებიც სავალდებულო საფაკულტეტო კურსებია. ასევე, არჩევით სასწავლო კურსების დიდ ნაწილში გამოიყენება ინგლისურენოვანი ლიტერატურა. გარდა ამისა, დაწყებულია მუშაობა ინგლისური ენის სწავლების კომპონენტის გაძლიერების თვალსაზრისით, სასწავლო კურსებში დამატებით, გამოიყენონ ადაპტირებული ფსიქოლოგიური შინაარსის ტექსტები. აღნიშნული საკითხის გადაჭრის მიზნით, დაწესებულება თანამშრომლობს უცხო ენების სწავლების ცენტრის თანამშრომლებთან, რისთვისაც შერჩეულია რამდენიმე ადაპტირებული სახელმძღვანელო. 2023-2024 სასწავლო წლისთვის იგეგმება ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსების განახლება, სადაც ფსიქოლოგიური სახელმძღვანელოდან იქნება შერჩეული საკითხავი მასალა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სავალდებულო საფაკულტეტო ინგლისური ენის სასწავლო კურსებში ფსიქოლოგიური საკითხავი ლიტერატურის ჩართვის და სხვადასხვა სასწავლო კურსებში ადაპტირებული ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების შემუშავების შედეგად, გარკვეულწილად დაძლეული იქნება ინგლისურ ენაზე ფსიქოლოგიური ლიტერატურის დამუშავების პრობლემა. შესაბამისად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგებთან მიღწევას და შესაბამისობაში იქნება სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დანართი 1. სასწავლო გეგმა
- დანართი 2. სილაბუსები
- დანართი 3. ინგლისური ენის სწავლება. ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):
დანართი 1. სასწავლო გეგმა
დანართი 2. სილაბუსები
დანართი 3. ინგლისური ენის სწავლება. ანგარიში
თვითშეფასების ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ფსიქოლოგია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნათია ბადრიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქეთევან ბერიძე